# 14 აპრილი „დედა ენის“ დღეა!



# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(189) 2019 წ. 1-15 აპრილი ფასი 1 ლარი

### საქმიანი შეხვედრა

## თანამშრომლობისა და საკითხების ერთად მოგვარებისათვის



**ამ** დღეებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე - ფუად მურადოვი, მისი მოადგილე-ფაიკ გულიევი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში დურსუნ ჰასანოვი ეწვია. ჩამოსულ სტუმრებს კახეთის გუბერნიისა და ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა: ირაკლი შიოშვილი მა-კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა-გიორგი ერბოწონაშვილმა, მერის მოადგილეებმა-ალექსი გილაშვილმა და შოთა კაკაბაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილემ - ლელა მარიდაშვილმა სხვა ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლეს.

ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგატებმა სოფელ იორმუღანლოში 1990 წლის 20 იანვარს და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირებს.

შეგახსენებთ, რომ ბაქოში 1990 წლის 20 იანვარს მშვიდობიან აზერბაიჯანელ მომიტინგეთა დარბევა მოხდა საბჭოთა არმიის მიერ, სადაც 130 ადამიანი დაიღუპა.



სტუმრებმა შეხვედრა გამართეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლების მოსახლეობასთან და ადგილობრივი საკითხები კითხვა-პასუხის რეჟიმში განიხილეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **ირაკლი შიოშვილმა,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა-**გიორგი ერბოწონაშვილმა,** მათ ჩამოსულ სტუმრებს მადლობა გადაუხადეს და მჭიდრო თანამშრომლობა აღუთქვეს.

## გაიხსნა რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ***მერის მოადგილეებმა-*** **ალექსი გილაშვილმა და შოთა კაკაბაძემ** ახლადრეაბილიტირებული-თანამედროვე სტანდარტების ქ. საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

სტუმრები პროექტის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებს გაეცნენ და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაათვალიერეს.

– საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 346 838 ლარით დაფინანსდა.



– გარემონტდა შენობის ფასადი, მოხდა შიდა ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია;

–დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა;

– კეთილმოეწყო ბაღის ეზო;

## უფასო სამედიცინო აქციები

**5 აპრილს**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმაში, საგარეჯოს მერიის მხარდაჭერით აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის გუნდმა უფასო სამედიცინო აქცია გამართა. გაისინჯა მოსახლეობის 50% მათ შორის, უჯარმის ბაღის აღსაზრდელები. აქციის მსვლელობისას ამბულატორიას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი** ესტუმრა. კლინიკის წარმომადგენლებსა და იქ მყოფ მოსახლეობას თავად გაესაუბრა, ორგანიზატორებს კვალიფიციური მომსახურებისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობა აღუთქვა.

**10 აპრილს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხადაჭერითა და ბავშვთა და მოზარდთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრ “დი-მედის” ორგნიზებით საგარეჯოს მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ მოხდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის მოქალაქეებისა და სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდების ადგილზე გასინჯვა. სხვადახვა ტიპის დარღვევების (ფიზიკური, გონებრივი, ქცევითი) მქონე პაციენტებისთვის გაიცა რეკომენდაციები და ინდივიდუალურად შეირჩა სარეაბილიტაციო-კომპლექსური მკურნალობის კურსი.









მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აპრილის რიგგარეშე სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლელა მარიდაშვილი*** უძღვებოდა. დღის წესრიგში ერთი საკითხი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, ან გამოსაფენად ადგილების განსაზღვრის შესახებ“ იყო, რომელიც საკრებულოს ***იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ უსტიაშვილმა*** წარმოადგინა.

საკითხის განხილვის შემდეგ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 30 მარტის №26/2019 განკარგულების შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. **განისაზღვროს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შემდეგი ადგილები:

**ა**. კულტურის სახლის ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

**ბ**. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

**გ**. სახელმწიფო და ადგილობრივი თითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

**დ**. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ელექტრო ან სხვა დანიშნულების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენებთან და სხვა ელმოწყობილობებთან არა უმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.

**2**. ბეჭვდითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა.

**3**. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იყოს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

**4**. ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არა უმეტეს 42სმ ( 2 ფორმატი).

**5**. ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 1 (ერთი) ცალით.

**6**. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქუჩა 9); სასამართლოს (მის: ქ. საგარეჯო, ნ. ფიროსმანის ქუჩა 7); პროკურატურის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილო 10); სამხედრო შენაერთებისა (მის: სოფელი მუხროვანის სამხედრო ბაზა; სოფელი პალდოს სამხედრო ბაზა) და პოლიციის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი 110) შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

**7**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე.

**8**. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. 15).



# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი



**2 აპრილი, 2019 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი*** უძღვებოდა. საუბარი შეეხო „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით თემებსა და ცალკეულ სოფლებში შესასრულებელი სამუშაოების პროექტების კიდევ ერთხელ გადამოწმებას. როგორც გიორგი ერბოწონაშვილმა აღნიშნა: - შესაძლებელია რომელიმე სოფელში გასახორციელებელ პროექტს დააკლდეს გარკვეული თანხა, რაც ხელს შეუშლის პროექტის სრულყოფილად განხორციელებას, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ და საქმის ბოლომდე შესასრულებლად თანხები ჩვენი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავამატოთ. ვთქვათ, გარე განათების მთლიან ქუჩაზე განთავსებისათვის ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ამასთან, როგორც გაირკვა, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მზად არის უსასყიდლოდ მიიღოს შრომითი მონაწილეობა ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, ასეთ შემთხვევაში დაიზოგება გარკვეული თანხა, რაც ისევ სოფლისათვის სასიკეთო საქმეებს შეიძლება მოხმარდეს. ეს მისასალმებელია მათი მხრიდან სოფლის კეთილმოსაწყობად კეთილი ნების გამოხატვისა და სოფლის გულშემატკივრობისათვის. ასეთ შემთხვევაში „სოფლის მხარდაჭერის“პროგრამით გამოყოფილი თანხა მთლიანად სამშენებლო მასალის შესყიდვას მოხმარდება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქმის ბოლომდე მისაყვანად.

თათბირზე გიორგი ერბოწონაშვილმა მერიის სამსახურების, განყოფილებათა უფროსებს, ასვე, მერის წარმომადგენლებს თემებსა და ცალკეულ სოფლებში მთელი სიმკაცრით მოსთხოვა პასუხის გაცემა იმ საკითხების მოგვარების მიმდინარეობასა და მდგომარეობაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე დგას- საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მოქალაქეების მიერ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე დაყენებულ პრობლემატურ საკითხებს. როგორც მან აღნიშნა: –ჩვენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ჩავინიშნეთ ის საკითხები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს, ამასთან, ჩვენ მათ დავპირდით ამ პრობლემების შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარებას, თუმცა, თუ ადამიანი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია.შეგახსენებთ,რომ ჩვენთვის, თითოეული ჩვენგანისათვის ყოველდღიური სამუშაო რეჟიმი სწორედ ამ საკითხების მოგვარების ფიქრით, გონივრული მოქმედებით და ოპტიმალურ ვადებში, რეალურად მოგვარებით უნდა დაიწყოს.

თათბირის მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს აღნიშნული საკითხები და როგორც გაირკვა, მოქალაქეებისგან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე შეხვედრებზე დაყენებული საკითხების გარკვეული ნაწილი მოგვარდა, ნაწილის მოგვარება მიმდინარეობს, ზოგიც უახლოეს მომავალში მოგვარდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა თათბირზე აღნიშნა და დასახა, მათი უმეტესი ნაწილი მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს. აი, ისინიც:

**კოჭბანი**

1. გარე განათება - (აქ უკვე ნაწილი გაკეთდა, ნაწილობრივ კი კეთდება“ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, რომლის მოსაწყობად პროგრამის მიხედვით დაფინანსდა 10 000 ლარით, აღნიშნული სამუშაოები აქ 1 თვეში დამთავრდება, მაგრამ სოფლში გარე განათების სრული მოწყობისათვის საჭიროა 20 000 ლარი. )

2. ტრანსპორტის პრობლემა- სკოლის ბავშვებს ესაჭიროებათ ტრანსპორტი სკოლამდე გადასაადგილებლად. მძღოლი კოჭბანის საჯარო სკოლაში მხოლოდ იმ სოფლის ბავშვების გადაყვანას ემსახურებოდა, რომლებიც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. აღნიშნული საკითხი უკვე მოგვარებულია .

3. მინისტადიონი - (მის მოსაწყობად საჭიროა 50 000 ლარი,სტადიონის მოწყობა ჯერ-ჯერობით დასაგეგმია )

**ოთარაანი**

1. სასმელი წყლის რეაბილიტაცია - ( მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რეაბილიტაცია გაკეთდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, რისთვისაც გამოყოფილია 10 000 ლარი , მაგრამ აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის სრულად დასრულებისთვის კიდევ საჭიროა 20 000 ლარი)

**სასადილო**

1. სასმელი წყლის რეაბილიტაცია - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რეაბილიტაცია დაფინანსდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, რისთვისაც გამოყოფილია 10 000 ლარი)

**გორანა**

1. სასმელი წყლის 2 ავზის გამოცვლა. – ( ასევე მოეწყობა ახალი სათავე- ნაგებობა, მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროექტი განხორციელდება „ სოფლის მხარდაჭერის“, პროგრამით- 10 000 ლარი )

2. ხიდის რეაბილიტაცია (გორანულა)- ( დასაგეგმია - გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად, საკითხის მოგვარებისათვის, აქ ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭიროა 50 000 ლარი)

**იკვლივ გორანა**

1. „კობათხევზე“ გაბიონების მოწყობა.- ( მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება პროექტი განხორციელდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით- 10 000)

2. სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია - ( დასაგეგმია, საჭიროა 10 000 ლარი)

**გომბორი**

1. ტრანსპორტი ბავშვებისთვის საბავშვო ბაღში გადასაადგილებლად- ( გამოცხადებულია ტენდერი )

1. გზის მოხრეშვა - ( აღნიშნული საკითხი მოგვარდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით )

2. სასმელ წყალზე გამანაწილებლის დამონტაჟება - ( დასაგეგმია -სავარაუდო ღირებ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

<u>გაგრძელება</u>

ულება 500 ლარი.

3. სასაფლაოს შემოღობვა - ( დასაგეგმია, სავარაუდოდ საჭიროა 3 500 ლარი)

4. გარე განათება (ეკლესიის უბანში საჭიროა 6 ცალი ღამის განათების ნათურის დაყენება. (მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით)

5. გარე განათება - ასკილაურში ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით- 10 000ლარი )

6. საბავშვო ბაღთან მისასვლელ გზაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია.- ( დასაგეგმია , ობიექტი არის ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში)

**რუსიანი**

1. გარე განათება. (მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის „ პროგრამით- 10 000 ლარი)

2. სარიტუალო დარბაზისთვის შენობის შესყიდვა. ( დასაგეგმია )

3. ტრანსპორტი, რომელიც აქაურ მოსახლეობას გაუადვილებს გადაადგილებას (გამოცხადებულია ტენდერი )

**ვერონა**

1. ხალხის თავშეყრის ადგილის მოწყობა - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და გაკეთდება" სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით- 10 000 ლარი)

2. ტრანსპორტი, მოსახლეობის გადასაადგილებლად - ( გამოცხადებულია ტენდერი )

**ვაშლიანი**

1. გარე განათება - ( მიმდინარეობს სამუშაოები და გაკეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 10 000 ლარი) .

**ასკილაური**

1. წყლის სათავე- ნაგებობის მოწყობა, (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება , გაწმენდა კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით)

2. გარე განათება - (მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ) ( ორივე პრობლემის მოსაგვარებლად „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით 10 000 ლარია გამოყოფილი )

**უჯარმა**

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურაში სასმელი წყლის არხი გაიწმინდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღთან და ამბულატორიასთან წყლის მისასვლელ მილებს, რის შედეგადაც ამბულატორიასა და საბავშვო ბაღს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება სასმელი წყალი.***



1. სარწყავი არხი - (ტენდერი დასრულდა, მიმდინარეობს სამუშაოები)

2. სასმელი წყლის პრობლემა - ( დასაგეგმია: საჭიროა 100 000 ლარი. გასაწმენდია სათავე ნაგებობა და ამოსაცვლელია 1,5 კმ სიგრძის სასმელი წყლის მილი)

3. თბილისი - უჯარმის ტრანსპორტის პრობლემა - ( დასაგეგმია)

4. სკვერი მემორიალთან - ((მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით- 16 000 ლარი, ხოლო სრული რეაბილიტაციისთვის საჭიროა დამეტებით 15 000 ლარი)

5. გარე განათება - ( შესყიდვების სააგენტოდან საჭიროა თანხმობა, მის მოსაწყობად 15 000 ლარია საჭირო )

6. სასაფლაოს შემოღობვა - ( დასაგეგმია: საჭიროებს 500 მეტრის შემოღობვას , რასაც 20 000 ლარი ესაჭიროება)

7. შიდა გზების მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

8. სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

**მუხროვანი**

1. გარე განათება - (მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით- გამოყოფილია 10 000 ლარი)

2. სარწყავი სისტემის მოწყობა - (დასაგეგმია, რადგან ამ სისტემის მოწყობას ესაჭიროება 3 000 ლარი)

**პალდო**

1. გარე განათება- (მიმდინარეობს სამუშაოები, რომელიც „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ფინანსდება)

2. სკვერი , ნერგები. (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ( ორივე საკითხისათვის 10 000 ლარია საჭირო )

**ხაშმი**

1 სარწყავი არხების გაწმენდა - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და გაწმენდა გაკეთდება" სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 20 000 ლარი )

2. გარე განათება - ( დასაგეგმია: ძირითადი ნაწილის მოსაწყობად საჭიროა - 30 000 ლარი)

3. საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზა - (გამოცხადებულია ტენდერი. დაფინანსდება რ.გ.ფ-ის მიერ 759 610 ლარი )

4. საექიმო ამბულატორიის ადგილმდებარეობის შეცვლა (ამბულატორია სოფლის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარეობს, რის გამოც აქაურ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს- მოხუცებს უჭირთ კიბეების ავლა). (დასაგეგმია : აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა 70 000 ლარი)

5. "ყარაბულახი"-ს გზა მოსაწესრიგებელია - (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

6. სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია ( დასაგეგმია )

7. სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტება ( დასაგეგმია )

8. სასმელი წყლის სათავე- ნაგებობის გაწმენდა - (დასაგეგმია, მის მოსაწესრიგებლად საჭ იროა 10 000 ლ )

**პატარძეული**

1. სკვერი - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და გაკეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 20 000 ლარი )

2. მინი სტადიონი - ( დასაგეგმია: მოსაწყობად საჭიროა 50 000 ლარი )

3. საექიმო ამბულატორიაში გათბობის პრობლემა (გათბობის ხარჯი აქვთ, მაგრამ არ ყოფნით და ვერ რთავენ) - საკითხი გასარკვევია.

4. ე.წ. „აჭარლების დასახლებაში" სასაფლაოს შემოღობვა. ( დასაგეგმია: შემოსაღობია 200-250მ, რისთვისაც საჭიროა 12 000 ლარი )

5. გზის მოხრეშვა „აჭარლების დასახლებაში". –( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

6. სოფლის ბიბლიოთეკის შენობის სახურავის რეაბილიტაცია ( დასაგეგმია )

7. „ჩიხლაანთ უბანში" სანიაღვრე არხის მოწყობა - ( დასაგეგმია )

8. სასმელი წყლის პრობლემა („უსტიაანთ უბანსა და „ ბერთუბანში") – ( დასაგეგმია 2კმ მილის მოწყობა, რისთვისაც საჭიროა საჭიროა 15 000 ლ )

**ნინოწმინდა**

1. 21-ე ქუჩის მოწესრიგება. - საჭიროა 80 000 ლარი. - ( დასაგეგმია)

2. გარე განათება - ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 20 000 ლარი )

3. „გოგიჩაღელე"-ზე სანიაღვრე ცხაურების მოწყობა.- უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით. დამატებით საჭიროა 3 000 ლარი

4. მე-11, მე-14, მე -15 ქუჩების მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

5. არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა მე-2 და მე-4 ქუჩებზე.- (დასაგეგმია)

6. ჭაბურღილებზე სახურავების გაკეთება და შემოღობვა. - დასაგეგმია

7. შიდა გზებზე ორმოების დამუშავება 1, მე-2 , მე-4, მე-10 , 29-ე ქუჩებზე.-( გამოცხადებულია ტენდერი )

8. სასმელი წყლის სათავე- ნაგებობის გაწმენდა და შემოღობვა. ( დასაგეგმია)

**წყაროსთავი**

1. მინი სტადიონი -გაკეთდება „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 16 000 ლარის, ხოლო სრული დასრულებისთვის საჭიროა დამატებით 50 000 ლარი)

2. გარე განათება (ბეჟიტაანთ უბანში) საჭიროა 1500 ლარი. (დასაგეგმია )

3. საყოფაცხოვრებო ბარჩენებისათვის საჭიროა ურნების დამატება ( პრობლემა გადაიჭრება უახლოეს მომავალში )

4. შიდა გზების მოხრეშვა - (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

5. არსებული პოლიეთილენის მილით სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა. ( დასაგეგმია )

**გიორგიწმინდა**

1. გარე განათება - ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება" სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 20 000ლარი )

2. მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა - 8 000 ლ - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება)

3. მოხრეშვა - (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

4. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - საჭიროა 100 000 ლარი - ( დასაგეგმია)

5. საჯარო სკოლის ღია აივნების ამოქოლვა. – საჭიროა 60 000 ლარი- (დასაგეგმია)

6. სკოლის ეზოში სპორტული მოედანი - საჭიროა 50 000.- ( დასაგეგმია)

7. „ ფერდოსუბნის" წყლის პრობლემა - („ნასადგომარის" წყლის პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყდება „ფერდოს უბნის" პრობლემა)

8." ნასადგომარი"-ს" წყლის ამოყვანა გიორგიწმინდაში. - საჭიროა 800 000 ლარი - ( დასაგეგმია)

9. ქვ. სამგორის ბინების პრობლემა, აღნიშნული საცხოვრებელი ბინები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და საჭიროა გადმოეცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს. – ( გასარკვევია )

**ანთოკი**

1. მოსაწყობია მგზავრთა მოსაცდელი - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, მოსაცდელი გაკეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 10 000 ლარი- ორივე პროექტი)

2.სკვერი - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება გაკეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით)

**მარიამჯვარი**

1.სასმელი წყლის აუზის რეაბილიტაცია - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 10 000 ლარი)

**თოხლიაური**

1. სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება ზემო უბანში ესაჭიროება 75 000 ლარი. ( დასაგეგმია )

2. საჭირო ხდება 10 ერთეული ურნის დამატება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ( პრობლემა მოგვარდება უახლოეს მომავალში )

3. გარე განათება -( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით - 16 000 ლარი)

4. გაღმაუბანში, ქარხანასთან მისასვლელი გზაა მოსაწესრიგებელი - საჭიროებს ორმოულების ამოვსებას 20 000 ლარი. - ( დასაგეგმია)

5. სანიაღვრე არხების გაწმენდა - ესაჭიროება 3 000 ლარი.- ( დასაგეგმია)

6. სასაფლაოს შემოღობვა - საჭიროა 40 000 ლარი -( დასაგეგმია )

7. სიჩქარის შემზღუდველები. –( 2 ცალი 2 500 ლარი - დასაგეგმია )

8. ტროტუარების მოწესრიგება - ( დასაგეგმია )

9. საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა. – (ნაწილობრივ კეთდება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით, სრული შემოღობვისთვის საჭიროა დამატებით 10 000 ლარი.)

10. სასმელი წყლის სათავე- ნაგებობების შემოღობვა - ( დასაგეგმია)

**მანავი**

1. სანიაღვრე არხების მოწესრიგება - (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით )

2. ვენახებამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით )

3. სასმელი წყალი პრობლემა. - ( დასაგეგმია)

4. ზემო და ქვემო მანავის დამაკავშირებელ გზაზე სანიაღვრე არხებია გასაწმენდი - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

5. შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

6. ხევების გაწმენდა - საჭიროებს მძიმე ტექნიკის დაქირავებას - ( დასაგეგმია)

7. სარწყავი არხების გაწმენდა - (აღნიშნული არხები საქართველოს მელიორაციის გაერთიანების კუთვნილებაა)

8. საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზის მოასფალტება - (300 000 ლარი- დასაგეგმია )

**დიდი ჩაილური**

1. საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა - ( 5000 ლარი- დასაგეგმია)

2. მინი სტადიონის მოწყობა - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და „ სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით მოხდება სკოლის მიმდებარედ სტადიონის რეაბილიტაცია)

3. საექიმო ამბულატორია - ( საჭიროა 60 000 ლარი. დასაგეგმია)

4. ნაგავსაყრელების მოწესრიგება - ( დასაგეგმია)

**პატარა ჩაილური**

1. სანიაღვრე არხების მოწყობა - ( დაგეგმილია 100 000 ლარი.)

2. გარე განათების მოწყობა 35 ც - ( 16 000 ლარი - დასაგეგმია )

3. სასმელი წყლის მილების ამოცვლა და დამატება -( 70 000. დასაგეგმია )

4. საჯარო სკოლის შენობისრეაბილიტაცია - (პროექტი მზად არის და გაკეთდება მემორანდუმის საფუძველზე -95 000 ლარი)

5. სპორტ დარბაზის რეაბილიტაცია (იატაკი) – (80 კვ მეტრი - დასაგეგმია)

6. სიჩქარის შემზღუდველი საჯარო სკოლასთან. – (2 ცალი 2500 ლარი- დასაგეგმია)

7. ცენტრალური სარწყავი არხიდან რკინიგზამდე სარწყავი არხის გაყვანა - ( შესათანხმებელია მელიორაციასთან.)

**კაკაბეთი**

1. მოსაწესრიგებელია საბავშვო ბაღთან და ბიბლიოთეკასთან მისასვლელი გზა. – (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

2. დასამატებელია ნაგვის ურნები.- ( პრობლემა მოგვარდება უახლოეს მომავალში)

3. სკოლის ეზოში მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხი- ( დასაგეგმია)

4. სანიაღვრე არხებია საჭირო - (სავარაუდო ღირებულება იქნება 100 000 ლარი დასაგეგმია)

5. ვენახებამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება. - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

6. სარწყავი წყლის პრობლემა- 140 ჰა. ფართობზე.(„ნაბამბარზე") - ( ეკუთვნის მელიორაციას.)

7. საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზის განათება.- 15 000 ლარი - ( დასაგეგმია)

8. ეკლესიის გზის მოწესრიგება -( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.)

9. ქუჩების დამისამართება-( მიმდინარეობს მუშაობა )

**ვერხვიანი**

1. სოფელში ითხოვენ საჯარო სკოლას. –( 1 000 000 საჭიროა - დასაგეგმია)

2. სანიაღვრე არხების მოწესრიგება - ( 30 000 ლარი - დასაგეგმია )

3. გარე განათება - (მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერი"ს პროგრამით - 16 000 ლარი)

4. მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა - 8 000 ლარი. - ( დასაგეგმია)

5. ნაგვის ურნები- 6ც. - ( პრობლემა მოგვარდება უახლოეს მომავალში )

6. სარიტუალო დარბაზი დასამთავრებელია - ( ეკუთვნის ფიზიკურ პირს)

7. ტექ. დათვალიერების პრობლემაა სოფელში, მოსახლეობას შეექმნა ვენახებამდე გადაადგილების პრობლემა - ( გასარკვევია )

8. ამოსაცვლელია სარწყავი მილები- ( დასაგეგმია )

9. საუბნო გზების მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით )

10. სასმელი წყლის პრობლემა. - ( დასაგეგმია )

**ყანდაურა**

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ***

*<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>*

№7(189) 2018 წელი, 1-15 აპრილი

## სამხედრო-სავალდებულო სამსახური

# წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო

## როგორია შედეგები?!



**დადგა** გაზაფხული და სხვა საქმეებთან ერთად დღის წესრიგში წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის კამპანიაც დააყენა. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ჩვენს მუნიციპალიტეტში, ამის შესახებ გვესაუბრება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი* კობა ცხვარიაშვილი:**

– წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა, - ***აღნიშნა მან,*** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის 12 დადგენილებით 1 თებერვლიდან დაიწყო და 29 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. ჩვენს საქმიანობაში ამ მნიშვნელოვანი კამპანიისათვის სამსახურში გატარდა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები და დადგა თუ არა წვევამდელთა სამხედრო - სავალდებულო სამსახურში გაწვევის დრო, ქვეყნის სხვა მსგავს სამსახურებთან ერთად საგარეჯოშიც დავიწყეთ მისი განხორციელება. გეგმის გათვალისწინებით წლევანდელ საგაზაფხულო გაწვევას ექვემდებარება 57 წვევამდელი. აქედან, თავდაცვის სამინისტროში გათვალისწინებულია - 32, შსს ძალებში - 15 და იუსტიციის სამინისტროსათვის - 10 წვევამდელი.

***– რა ასაკის წვევამდელები ექვემდებარებიან ამ გაწვევას?***

- გაწვევას ექვემდებარებიან 18 წლიდან 27 წლამდეასაკის წვევამდელები, ისინი, ვისაც ჯერ არ მოუხდია ქვეყნის წინაშე თავიანთი ვალი ამა თუ იმ საპატიო მიზეზების გამო.

***- რას ითვალისწინებს კანონმდებლობა, ვისაც 27 წელი შეუსრულდათ და არ უმსახურიათ სამხედრო სამსახურში?***

- მათ, ვისაც შეუსრულდათ 27 წელი და არ უმსახურიათ სამხედრო სამსახურში, საქართველოს სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 21-ე მუხლის დ- მე-3 პუნქტის თანახმად, გადაირიცხებიან რეზერვში შესაბამისი (არასაპატიო) სტატუსით.

***- როგორც ცნობილია, აღნიშნული კანონი ჯარში გაწვევისაგან არ ათავისუფლებს წვევამდელთა გარკვეულ კატეგორიას, კერძოდ, ვის?***

- ესენი არიან წვევამდელები, რომელთა კმაყოფაზეც იმყოფება ოჯახი. ასევე, ამ კანონით ჯარში გაწვევას არ ექვემდებარებიან დედისერთა წვევამდელები. ასევე, რადგან ვიცით, რომ ამ შეკითხვითაც მომმართავთ, გეტყვით, რომ ამ კანონის 30-ე მუხლის თანახმად, სამხედრო - სავალდებულო სამსახურიდან გადავადება ეხებათ შემდეგი კატეგორიის წვევამდელებს: ა). სტუდენტებს, ბ). ჰყავთ ერთიდან ორ შვილზე მეტი, გ). მღვდელმსახურთ, დ). საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ პირად აღიარებულებს, ე). სკოლის მოსწავლეებს, ვ). აბიტურიენტებს, ზ). სოფლის ექიმებსა და სოფლის მასწავლებლებს, თ). მათ, ვინც გადაიხდის სამხედრო მოსაკრებელს- 2000 ლარს 18 თვით.

***- როგორია სამხედრო - სავალდებულო სამსახურის დროის ხანგრძლივობა და ვინ ადგენს სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელთა ჯანმრთელობის ვარგისიანობის საკითხს?***

- სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობაა 1 წელი. რაც შეეხება წვევამდელთა ჯანმრთელობისა და სამხედროსამსახურისათვის მათ ვარგისიანობის საკითხს, ამის დადგენა ხდება სათანადო სამხედრო - სამედიცინო კომისიის მიერ.

***- როგორც ცნობილია, წვევამდელებს აქვთ ალტერნატივა და შეუძლიათ სამხედრო- სავალდებულო სამსახურის გაუვლელად იმსახურონ საკონტრაქტო სამსახურში. როგორ ხდება ეს?***

- ასეთი წვევამდელები გადიან სათანადო სამხედრო-სავალდებულო კომისიის შემოწმებას და ჯანმრთელობის ვარგისიანობის შემთხვევაში ირიცხებიან კრწანისის სამხედრო-სასწავლო ცენტრის ბაზაზე კონტრაქტზე და იწყებენ ამ სამსახურს.

***- როგორც თქვენ აღნიშნეთ, წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა თებერვლის დასაწყისიდან დაიწყო. რა მდგომარეობაა ამ საქმეში სადღეისოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

- სულ, 25 მარტის მდგომარეობით, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში გამოძახებულია 160 წვევამდელი, მათგან 15 -გაწვეულია ჯარში, 49 წვევამდელის საქმე გადაცემულია პოლიციისათვის, 10- არ იმყოფება რეგისტრაციის ადგილზე, 18 იმყოფება საზღვარგარეთ, 11 -ის ბინა დაკეტილია და არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, 2000 ლარიანი მოსაკრებელი გადაიხადა სამმა წვევამდელმა, სტუდენტური გადავადება მიეცა 23 წვევამდელს, სკოლის 9 მოსწავლეს. დედისერთაა- 4, ერთი შვილი ჰყავს-4-ს, ავადმყოფობით-3, პრემიერ-მინისრის ბრძანებით-1, მღვდელმსახური - 11, დაცვის პოლიციის-2 წვევამდელი. საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულია 2 წვევამდელი.

***- კანონმდებლობის დამრღვევი, სამხედრო-სავალდებულო სამსახურისათვის თავის ამრიდებელი წვევამდებლები თუ გვყავს?***

- საკმაოდ. სასამართლოსათვის გადაცემული გვაქვს 26 წვევამდელის საქმე, რომლებიც დაჯარიმდებიან 1 000 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში კი სანქციები უფრო გამკაცრდება, რასაც იმედია, ისინი გაითვალისწინებენ და მომავალში აღარ შეეცდებიან მსგავსი საქციელის განმეორებას

***ესაუბრა***

*გივი დაბახიშვილი*

## საქართველოს მთავრობის დადგენილება

# მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის

**2018 წლის** 14 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა №472 დადგენილება "ტექნიკური რეგლამენტის პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ".

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესი (შემდგომში ტექნიკური რეგლამენტი), რომელიც ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკის პარკების, ასევე ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებასთან, იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებს. დადგენილების მიზანია, პლასტიკის პარკების მოხმარებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული მავნე ზემოქმედების შემცირება.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. ასევე, 2019 წლის 1 აპრილიდან აიკრძალა ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. ამავე დადგენილების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულია საქართველოს სტანდარტის შესაბამისი ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის/დადგენილების მოქმედება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ეწევიან საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკის პარკების, ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებას, იმპორტს ან/და რეალიზაციას

წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს №825 მუხლით, რომლის თანახმად პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, წარმოებისას ან/და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის" მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს მეწარმე-სუბიექტის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით. ხოლო აღნიშნული ქმედება/დარღვევა ჩადენილი განმეორებით - გამოიწვევს მეწარმე-სუბიექტის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით.

## სოფლის მეურნეობა

# ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობისათვის

**სოფლის** მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება დაიწყო. ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ინფრასტრუქტურული არ იქნება უფრო ფართოდ გაეცნო არსებული პროგრამის პირობებს.

**პროგრამის პირობები**

სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150 000 ლარისა. სააგენტოს თანადაფინანსება შესაძლებელია იყოს 50%-ზე ნაკლები იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ღირებულება აღემატება 300 000 ლარს.

შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი), კერძოდ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას: ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე და შესყიდვის მომენტში უნდა მოქმედებდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე საგარანტიო პირობები;

გარდა ამისა, პროგრამის ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

**ვინ არის პროგრამის ბენეფიციარი**

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

პროგრამის ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის" ფარგლებში წარმოებულ რეესტრში. აღნიშნულ რეესტრში დარეგისტრირება შესაძლებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურს ტელეფონის ნომერზე (1501) დარეკვით.

**პროგრამის შეზღუდვები**

პროგრამის ფარგლებში შეძენილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ შეძენიდან 5 წლის განმავლობაში არ უნდა გადაკვეთოს საქართველოს საზღვარი;

ბენეფიციარი პროგრამის ფარგლებში შეძენილ ტექნიკას ვერ გაყიდის/გაასხვისებს 5 წლის განმავლობაში;

პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაგირავება სააგენტოს სასარგებლოდ 5 წლის ვადით; ტექნიკა იდენტიფიცირებადია და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი გაცემული სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" მიერ;

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სააგენტოს სასარგებლოდ დაგირავება უნდა განხორციელდეს თანადაფინანსების ტრანშის მიღებიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში;

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე სააგენტოს გირავნობა შესაძლოა იყოს რიგით მეორე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული კრედიტი და ამ კრედიტის უზრუნველსაყოფად საფინანსო ინსტიტუტი არის ტექნიკის პირველი რიგის მოგირავნე;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაგირავებას სააგენტო არ განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს ლიზინგი, ამასთანავე თუ ტრანშის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში ბენეფიციარი მოახდენს სალიზინგო კომპანიისაგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადმოფორმებას, ვალდებულია ტექნიკა დააგირავოს სააგენტოს სასარგებლოდ გადმოფორმებიდან 5 წლის ვადის გასვლამდე დარჩენილ პერიოდზე.

**თანადაფინანსების მიღების ეტაპები**

– განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა: პოტენციური ბენეფიციარი შედის სააგენტოს ვებგვერდზე – www.აპმა.გე, ირჩევს „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამას" და ჩამოტვირთავს განაცხადის ფორმას (განაცხადის ფორმა დანართი №1.1) თანმდევ დოკუმენტაციის ნუსხასთან (დანართი №1.2) ერთად; ამობეჭდილი განაცხადის ფორმის ფიზიკური ფორმით მიღება ასევე შესაძლებელია სააგენტოს კანცელარიაში და რეგიონებში არსებული სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებში;

განაცხადის და თანმდევ დოკუმენტაციის წარდგენა ხდება სააგენტოს კანცელარიაში (მისამართი: ს. ახმეტელის 10ა, ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო") მატერიალური სახით;

კანცელარია განაცხადსა და თანმდევ დოკუმენტაციას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იქნება (დანართი №1.2) ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი;

– სააგენტო განიხილავს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ განაცხადსა და დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი და თანმდევი დოკუმენტაცია არ შეესაბამება პროგრამის პირობებს, განაცხადი უარყოფილია და სატელეფონო ცხელი ხაზის ან/და ელ.ფოსტის საშუალებით განმცხადებელს ეცნობება უარყოფის მიზეზი განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელ.ფოსტაზე. ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარი უფლებამოსილია შემოიტანოს ახალი განაცხადი და გაიაროს ყველა საჭირო პროცედურა თავიდან;

– თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება: იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი და თანმდევი დოკუმენტაცია შეესაბამება პროგრამის პირობებს, ბენეფიციართან გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება, სადაც აღწერილი იქნება ბენეფიციარის და სააგენტოს ვალდებულებები; ბენეფიციარს ხელშეკრულების გამზადების შესახებ ინფორმაცია ეცნობება სატელეფონო ცხელი ხაზის ან/და ელ ფოსტის საშუალებით განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელ.ფოსტაზე. ბენეფიციარი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციართან არ გაფორმდება ხელშეკრულება და პროცედურების გავლა მოუწევს თავიდან;

ბენეფიციართან თანადაფინანსების ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების თარიღში ხელმისაწვდომი იქნება პოტენციური ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი თანადაფინანსების შესაბამისი ბიუჯეტი.

– თანადაფინანსების გაცემა: თანადაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს კანცელარიაში წარადგენს თანადაფინანსების ან მისი რომელიმე ტრანშის მოთხოვნის განცხადებას (იხ. დანართი №1.5) და თანმდევ დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში თუ, ტრანშის მოთხოვნა არ განხორციელდება აღნიშნულ ვადაში თანადაფინანსების ხელშეკრულება გაუქმებულია და ბენეფიციარს მოუწევს ყველა საჭირო პროცედურის გავლა თავიდან.

– თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობის დადასტურება: ბენეფიციარმა, პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, თანადაფინანსების მიღებიდან 3 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის" მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა პროგრამით გათვალისწინებული თანხების (ბენეფიციარის თანამონაწილეობა და სააგენტოს თანადაფინანსება) მიზნობრივად ხარჯვასთან და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი.

– გირავნობის ხელშეკრულების გაფორმება: სააგენტო ბენეფიციარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ახდენს პროგრამის ფარგლებში შესყიდული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (რომელიც არის იდენტიფიცირებადი და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი გაცემული სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" მიერ) გირავნობით დატვირთვას 5 წლის ვადით, თანადაფინანსების ტრანშის მიღებიდან 4 თვის ვადაში.

# მკითხველის გვერდი

**ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო!**

**ჩვენი** გაზეთის აქტიურ და ერთგულ მკითხველს გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ 8 გვერდიდან დღეიდან ერთ გვერდს გითმობთ - თქვენი მოსაზრებების გამოსათქმელად, წინადადებების დასაყენებლად, შეკითხვების დასასმელად, ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესაფასებლად და გაზეთის საშუალებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე პრობლემატური საკითხების დღის წესრიგში დასაყენებლად. თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს ,წინადადებებს გაზეთის რედაქცია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს გააცნობს პასუხის გასაცემად.

ვფიქრობთ, ჩვენი სოფლის, ქალაქის ასე გულშემატკივრობით ჩვენ შევძლებთ მარტივად მოვაგვაროთ ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის და საერთოდ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე არსებული ყოფითი პრობლემები, ჩვენი სოფელი, ჩვენი ქალაქი გავხადოთ უფრო ლამაზი და უფრო მიმზიდველი.

აქვე შეგახსენებთ, რომ სასურველია - ჩვენი გაზეთის ხელმომწერი და აქტიური მკითხველი იყოთ, რათა ისეთი საკითხების შესახებ მოგვაწოდოთ მასალა, რომელიც გაზეთში არ გაშუქებულა.

*მაშ, ასე, გიწვევთ თანამშრომლობისთვის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. წერილი შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მისამართზე: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. 15 შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე“, ან გადმოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: gareji2011@mil.ru ან garejismacne11@gmail.com*

*დღეს გაზეთის ამ გვერდზე ერთ კარგ ამბავზე მოგითხრობენ ჩვენი მოქალაქეები, და ერთ სამარცხვინო ამბავზე — საუკუნის სირცხვილზე.*

## ავისმქმნელები, რომლებსაც უფლის არ ეშინიათ...

# საფლავების ძარცვა საშვილიშვილო ცოდვაა



**გასული** საუკუნის 90-იან წლებში, როცა „ცხოვრება გაჭირდა“, ზოგიერთმა შემოსავლის წყაროდ საფლავების ძარცვა გაიხადა. ეს სიმწარე ყველას გვახსოვს- იძარცვებოდა ალუმინის ნაკეთობებით, ოჯახის უკანასკნელი კაპიკებით გალამაზებული ჭირისუფალთა შვილების, მშობლების საფლავები. სწორედ მაშინ მოხდა 12 წლის ზურა ტოპეშაშვილის საფლავის გაძარცვაც, რომლის გარდაცვალებაც მთელი საგარეჯოსთვის ტრაგედია იყო, ლეიკემიით გარდაცვლილი პირმშოს საფლავი მშობლებმა ისეთი ნაკეთობით დაამშვენეს- ღამის სიბნელეშიც რომ ანათებდა, თითქოს წყვდიადისთვის ვერ გაიმეტეს შვილი...შვილისილია დალბაშვილის საფლავის გაძარცვას შეეწირა დედის გულიც...მაშინ მძარცველები პასუხისგებაში მიეცნენ... თითქოს მოისვენა ჭირისუფალის გულმა და მიცვალებულთა საფლავებმა...

მაგრამ, სულ ახლახანს ისევ გამოჩნდნენ ავისმქმნელები... ისევ გაიძარცვა საფლავები-ავარიაში ერთად გარდაცვლილი ახალგაზრდების და ამავე დროს- საფლავზე მისულ ჭირისუფალთ ცარიელი დახვდათ ბარელიეფი, რომელზედაც საგარეჯოელი გმირი მილიციელის გოგი ჯაფარიძის მონუმენტი იყო 1958 წლიდან, შემოცლილი იყო მისი საფლავის რკინის ღობეც... ეს ჭირისუფლებისთვის დიდი შოკი და შეურაცხყოფა იყო...გოგი ჯაფარიძის სახელი საგარეჯოს ერთ-ერთ ულამაზეს და დიდ ქუჩას ჰქვია მდინარე თვალთხევის მარჯვენა სანაპიროზე. სწორედ მისი სახელწოდება მიანიშნებს და შეახსენებს საგარეჯოელებს, რომ ეს ქუჩა იმ გმირი გოგი ჯაფარიძის სახელობისაა, ვინც 1958 წელს თიანეთიდან ავტობუსით მგზავრობისას წინ გადაღობილ ყაჩაღებს ვაჟკაცურად წინ გადაეღობა და სიცოცხლის ფასად იხსნა მათი სიცოცხლე. მაშინ ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თიანეთის რაიონული განყოფილების უფროსი იყო, მისმა მეუღლემ საკუთარი თვალით იხილა მეუღლის ვაჟკაცობაც და სიკვდილიც... მან მარტომ, მეუღლის მშობლების დახმარებით გაზარდა ობლად დარჩენილი ერთადერთი შვილი... ყოველ წელს გმირულად დაღუპული მილიციელის საფლავზე იკრიბებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მეგობრები, ახლობლები... ის მონუმენტიც მათ გაუკეთეს სამახსოვროდ ვაჟკაცობისა და გმირობისათვის... მისი სახელით ამაყობდნენ მეუღლე-ახრასია მარიხაშვილი, შვილი-მარინა, შვილიშვილები- თამარ და ნინო ლაფაჩიშვილები, მშობლები, გვარი, საგარეჯო...

და დღეს თითქოს სულში ჩაგვაფურთხეს ავისმქმნელებმა, დიახ, ავისმქმნელებმა, რადგან, როგორც გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მღვდელმა გიორგი პავლოვმა გვითხრა საუბრისას: „- უდიდესი ცოდვაა საფლავის შეურაცხყოფა, მისი გაძარცვა. ეს საშვილიშვილო ცოდვაა, რომელიც გულწრფელი მონანიებით, აღსარებით, კეთილი საქმეების ქმნით მიეტევება ადამიანს, თორემ ის ტკივილი, რაც თავისი ავისმქნელობით მიაყენა გარდაცვლილის ოჯახს, მის ჭირისუფალთ, უმძიმეს ცოდვად დაედება თვითონ მასაც და მის შთამომავლობასაც. მან მონანიებასთან ერთად პასუხი უნდა აგოს- სამართალ დამცავმა ორგანოებმა მას ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს“ .

აღნიშნულმა ფაქტმა დიდი გულისწყრომა გამოიწვია ჩვენი ქალაქის მოსახლეობაში:

**ნელი არჩუაძე-ბუზარიაშვილი:**

-გოგი ჯაფარიძის შვილი-მარინა ჩემი მეზობელია. თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი საუკუნე სკოლაში მოსწავლეთათვის ქართული ენის სწავლებას შეალია. ჩუმი, უპრეტენზიო, თავაზიანი პიროვნებაა. ამ საშინელი ფაქტის შემდეგ ვნახე. შემომჩივლაგანადგურებული ვარ, ასე მგონია მამა მეორედ მომიკლესო... რა მეთქვა, როგორ მენუგეშებინა, მე შემრცხვა იმ არაკაცების ნამოქმედარის გამო... ჩემს თაობას ახსოვს გოგი ჯაფარიძის სახელი უფროსებისგან გადმოცემით- ის გმირულად შეეწირა სხვების სიცოცხლეს და თავისი პროფესიის ერთგულებით წარსდგა უფლის წინაშე. მაინტერესებს, იმ ბიუსტის ფულით რას შეიძენს, სად გამოიყენებს, როგორ მოიხმარს?! ჩემი შვილი - გიგლა 26 წლის წინ ავტოავარიაში დაიღუპა. მის საფლავზე გასვლისას მის ორმეტრიან მარმარილოს ქვას ხელით ვამოწმებ-ხომ არ მოირყა, სხვების გადაქცეულ ქვებს რომ ვხედავ, სული მიშფოთდება, ასე მგონია რაღაც დაემართებათ მიცვალებულთა სულებსაც. ჩემთვის და საერთოდ, შვილმკვდარი დედებისათვის შვილის საფლავი საფიცარი და სალოცავია, იქ რომ ასეთი რამ ვნახო, ალბათ ვერავინ და ვერაფერი შემაჩერებს, თუ გული იქვე არ გამისკდა...

ჩვემა პოლიციამ უნდა გამოავლინოს დამნაშავე, ავაზაკი, საფლავების მძარცველი და შეურაცხმყოფელი, მას თავად ჩვენ, მოქალაქეებმა გამოვუტანოთ განაჩენი... 90-იან წლებში ასეთი ავისმქნელები პოლიციამ გამოავლინა და საკადრისიც მიეზღოთ... ეს ალბათ დაავიწყდათ, ან ახალი „თაობა“ წამოვიდა... იოლია ამ ცოდვით ცხოვრება?! შთამომავლობას რატომ უტოვებს საშვილიშვილო ცოდვას?! ასეთებს ასეთი ქმედება არ უნდა ეპატიოთ... ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სამართალდამცველები გამოააშკარავებენ დამნაშავეებს და საკადრისად დასჯიან მათ.

**დალი ქარსაულიძე:**

-მარინა ჯაფარიძე ჩვენი მარკეტით სარგებლობს. ამ დღეებში ისეთ მდგომარეობაში იყო- ჩამქრალი, განადგურებული- მამის სახელი, რომლის სახელითაც ეს 70 წელს გადაცილებული ქალბატონი დღესაც ამაყობს, ვერ დაივიწყა მადლიერმა საგარეჯომ და მისი სახელი ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს და კეთილმოწყობილ ქუჩას მიანიჭა წლების წინ. სწორედ ასეთი კაცის საფლავი შეურაცხყვეს არაკაცებმა. გოგი ჯაფარიძის სახელს დღესაც პატივისცემით იხსენიებენ მისი მეზობლები, საგვარეულო, თაობები, ვისაც ახსოვთ, ან გადმოცემით იციან. ჩვენ საგარეჯოელებს იმის მაგივრად, რომ გვეამაყა ასეთი პიროვნებით, დღეს ყველას გვრცხვენია ვიღაც არაკაცის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელით. ბრინჯაოს ბიუსტი მარინასთვის და მისი შვილიშვილებისთვის ფასდაუდებელი რელიქვიაა, რომელიც გოგი ჯაფარიძის სახელს ჩვენც- საგარეჯოელებსაც სიამაყით გვავსებს.

ავი საქმის ჩამდენი კი საკადრისად უნდა დაისაჯოს, პასუხი მკაცრად უნდა მოეთხოვოს...

*თინა ილაური*

## სტუმარი რედაქციაში

### ამბები სოფლებიდან

# როცა მშობლიური ადგილები ლამაზდება



**სონიკო** მჭედლიშვილი – ბაღდადაშვილი კაკაბეთის მკვიდრია. აქ დაიბადა, გაიზარდა, თავისი შრომით და საქმიანობით არაერთხელ ისახელა თავი მაშინ, როცა შრომა ფასდებოდა, როცა ყველა ახალგაზრდა შრომით საქმიანობაში იყო ჩართული, სწავლაც გააგრძელა და შემდეგ კაკაბელ სოსო ბაღდადაშვილთან ტკბილი ოჯახი შექმნა, ოჯახის საქმეებთან ერთად ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული სოფლის ცხოვრებაში, სხვანაირად არც შეიძლება- ორი ვაჟის გაზრდისას ურთიერთობა უხდებოდა ჯერ საბავშვო ბაღთან, შემდეგ სკოლასთან, მისი კულინარიული შესაძლებლობები ხომ საყოველთაოდ არის განთქმული.

ამ დღეებში სონიკო რედაქციაში გვესტუმრა, გულიანად, ტკბილად მოგვიკითხა და სახეგაბრწყინებულმა თავისებური სიამაყით გვახარა: - ძალიან ლამაზი საბავშვო ბაღის შენობები გვაქვს კაკაბეთში, ერთიც და მეორეც, ულამაზეს ფერებშია ოთახებში რემონტი, ისეთი გალამაზებული და კეთილმოწყობილია სამზარეულოები, ექთნის ოთახები, სამეცადინო ოთახი, რომ მშობლები აღფრთოვანებას ვერ მალავენ, თქვენ ბავშვები უნდა ნახოთ – სიხარულით მიიჩქარიან ყოველ დღე ბაღისაკენ. ორივე საბავშვო ბაღის შენობები თითქმის ინგრეოდა, 30 წელზე მეტია, იქ რემონტი აღარ ჩატარებულა, და უცბად, ასეთი საჩუქარი...

კაკაბეთში მარტო საბავშვო ბაღების შენობები არ გარემონტებულა და არ გალამაზებულა, ჩვენი საჯარო სკოლის შენობა ახალი სასწავლო წლისთვის სრულიად შეცვლილი დახვდათ მოსწავლეებს, მე ხშირად ვსტუმრობ სკოლას და კარგად ვიცი, რა ლამაზია და კეთილმოწყობილი....

სონიკო ახლა სოფლის სასმელი წყლის მილებით დაქსელვაზე გველაპარაკება და ვიცით, რომ მართლა თავსაც გვაწონებს როგორც კაკაბელი და ვგრძნობთ როგორ უზომოდ უყვარს კაკაბეთი და უხარია სოფლის გალამაზება. – კაკაბელებს წინა საუკუნის ნანატრი, ნაოცნებარი გვისრულდება

- უბანს და დასახლებას კი არა, თითოეულ ოჯახს გვექნება საკუთარი სასმელი წყლის ონკანი. მეამაყება, რომ ჩემი სოფლის ცენტრალურ ქუჩებში ასფალტია, ახლა გარე განათებაც მოეწყო. ადამიანს გარეთ გამოსვლის აღარ ეშინია... როგორც გვითხრეს, აქ მალე უბნებიც, ქუჩებიც განათდება ღამე- ჩვენს სოფელზეცაა სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხა და გარე განათება მოეწყობა უბნების მიხედვით, ცოტას რაიონის ბიუჯეტიდანაც მოგვეხმარებიან და რა ნახავთ როგორი სოფელი გვექნება. ჩვენი სოფლის მოსახლეობა ძალიან მშრომელია, გასულ წელს 30, 50 ათასი ლარის ყურძენი გაყიდა ზოგიერთმა ოჯახმა, მათი ხელის შესაყობად ვენახებამდე, სავარგულებამდე მისასვლელი გზებიც გაკეთდა, ეს პრობლემა წლებია გვაწუხებდა კაკაბელებს...

ჩვენდა საამაყოდ სოფელში გვაქვს სოფლის საექიმო ამბულატორია, სასოფლო კლუბსა და სასოფლო ბიბლიოთეკაში სკოლის მოსწავლეები საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ ხოლმე.

სოფლის ბევრმა ოჯახმა ეკონომიური მდგომარეობა შრომით გაიუმჯობესა და სოფლის მოვლა-პატრონობის, ხელის შეშველების სურვილი და ხალისიც გაუჩნდა- მალე ჩვენთან სოფლის პროგრამით გარე განათება მოეწყობა და სოფლის სასაფლაოც შემოიღობება, სოფლის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა-იმ თანხებით მასალა შეგვისყიდონ და ჩვენ ჩვენი შრომით შევასრულებით ფიზიკურ სამუშაოებსო, ამით ის გამოყოფილი თანხები დაიზოგება და სხვა სასიკეთო საქმეებისთვის გამოიყენებს სოფელიო. ჩვენი სოფლის მომავალი თაობა ამით სოფლის საკეთილდღეოდ გაკეთებული საქმეების მოწმეც გახდება და თვითონაც გაუჩნდება სურვილი- უპატრონოს სოფელს...

ჩვენი სოფლის მერის წარმომადგენელი ზაქარია გულაღაშვილია, საკრებულოში ორი დეპუტატი გვყავს – დიმიტრი მჭედლიშვილი-მაჟორიტარი დეპუტატი და თამარ სუხიაშვილი- პარტიიდან. ისინი ჩვენი სოფლისთვის თავდადებულები არიან. ვიცით, რომ მათი აქტიურობით სოფლის არც სხვა უბნები დარჩება უყურადღებოდ-მოეწყობა გარე განათება, დაიდგმება ურნები ყველგან, მოიხრეშება და ქუჩებსაც დამისამართება მიეცემა, დაინომრება სახლები, გავიგეთ, რომ მოხდა დამისამართება, მაგრამ, რომელი ქუჩა რა ნომერია, არ ვიცით....

კიდევ ბევრი სასიხარულო ამბები გვიამბო სონიკომ და დამშვიდობებისას ჩვენც დაგვაიმედა: -სულ მალე ისევ გავიხსენებ თქვენი გაზეთის გავრცელებაზე მზრუნველობას ( სონიკო წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის დისტრიბუტორი იყო სოფელ კაკაბეთში, სადაც ბევრი ხელმომწერი ჰყავდა ჩვენს გაზეთს, შემდეგ კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩვენთან თანამშრომლობა დროებით შეაჩერა) და შევეცდები გაზეთი "გარეჯის მაცნე" კაკაბელ მკითხველებს მივაწოდო.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

<u>დასასრული</u>

***ყანდაურაში სარწყავიი წყლის მაგისტრალი გაიწმინდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღთან და ამბულატორიასთან***



***წყლის მისასვლელ მილებს, რის შედეგადაც სოფლის საექიმო ამბულატორიასა და საბავშვო ბაღს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება სასმელი წყალი.***

1. სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაცია. - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და კეთდება „ სოფლის პროგრამით“ ზემო ყანდაურა) 10000 ლარი
2. გარე განათება - ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით - 20 000ლარი )
3. სასაფლაოსთან ბოგირის მოწყობა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.)
4. გზის მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)
5. ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით. )
6. ტრანსპორტი საჯარო სკოლის ბავშვებისთვის - ( მოგვარებულია )
7. „ტურის უბნის“ მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით )
8. „გიქორაანთ“ უბანში სანიაღვრის მოწყობა - 5 000 ლარი. -( დასაგეგმია )
9. მოძღვრისა და მოსახლეობის თხოვნაა საჯარო სკოლის წინ ეზო გადაეცეს საპატრიარქოს საკუთრებაში - ეკლესიის ასაშენებლად. ( გასარკვევია )
10. „გადასახედავის“ უბანში სანიაღვრეა მოსაწყობი. – ( 150 000 ლარი. დასაგეგმია )
11. საბავშვო ბაღთან გარე განათება - (მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით)
12. სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაცია -- ( გამოცხადებულია ტენდერი )
13. ნაგვის ურნები - მოგვარდება პრობლემა უახლოეს მომავალში
14. გარე განათება ზემო ყანდაურაში. – 15 ნათურაა ამოსაცვლელი ,3- დასამატებელი. – ( 700 ლარი - პრობლემა მოგვარდება უახლოეს მომავალში )
15. ზემო. ყანდაურაში ეკლესიასთან დენია მისაყვანი. – (გასარკვევია )

**ბადიაური**

***სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ბადიაურში გარე განათების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.***



1. გასაწმენდია სასმელი წყლის აუზი - ( 1 000 ლ - გაკეთდება უახლოეს მომავალში )
2. გარე განათება - ( მიმდინარეობს სამუშაოები, კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 20 000 ლარი. )
3. კახეთის ცენტრალურ ტრასაზე „ზებრა“ გადასასვლელი და საგზაო ნიშნებია მოსაწესრიგებელი, ასევე თუ შესაძლებელი იქნება გვირაბის მოწყობა. -- ( ეკუთვნის საგზაო დეპარტამენტს. )
4. გმირთა მემორიალთან განათება. - ( მიმდინარეობს სამუშაოები , კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით. )
5. სპორტული დარბაზი - ესაჭიროება 200 000 ლარი. ( - დასაგეგმია )
6. საჯარო სკოლის ბავშვების გადასაადგილებლად ტრანსპორტი - ( მოგვარებულია)
7. ამბულატორიის რეაბილიტაცია, შენობაში არ არის დენი და გაზი.- (( 30 000 ლარი. - დასაგეგმია )
8. მოსახრეშია სასაფლაოს გზა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.)
9. სასაფლაოზე დენია გასაყვანი - ( 10 000 ლარი. დასაგეგმია )
10. ნაგვის ურნების დამატება -( მოგვარდება უახლოეს პერიოდში)
11. ნერგები ეკლესიის ეზოსთვის და სამამულო ომის მემორიალთან -( მოგვარდება უახლოეს მომავალში
12. მგზავრთა მოსაცდელი ეკლესიასთან - ( 8000 ლარი. - დასაგეგმია )
13. საჯარო სკოლასთან სარკე მძღოლებისათვის ( - 800 ლ - დასაგეგმია )
14. ბენზინგასამართ სადგურთან მოსახლეობას სასმელი წყალი არ აქვს - ( გამოცხადდება ტენდერი უახლოეს მომავალში- 60 000 ლარი )
15. ქარსაცავი ზოლი გასხვისდა ,მოსახლეობა შიშობს, რომ შესაძლოა შეექმნათ პრობლემა საქონლის გადასაადგილებლად. ( გასარკვევია )
16. გასაწმენდია „ბებერი არხის“ სამელიორაციო სისტემა. - ( გასარკვევია )

**მზისგული**

1. სასმელი წყლის პრობლემა -( მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები - 43 000 ლარი).
2. გარე განათება. - ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 16 000 ლარი).
3. მიწები გასხვისებულია და ადგილობრივებს ექმნებათ პრობლემა. ( გასარკვევია )
4. რიტუალების დარბაზში სველი წერტილებია მოსაწესრიგებელი - 6 000ლ. - ( დასაგეგმია
5. ეკლესიის დასრულება - ( დასაგეგმია )
6. მოსახლეობას მოსდის მიწის გადასახადი ,რომლებსაც არც იჯარა აქვთ და არც საკუთრება. - ( გასარკვევია )
7. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. -( დასაგეგმია )
8. სოფლის საექიმო ამბულატორიის სახურავის შესაკეთებლად საჭიროა 5 000 ლ. - ( დასაგეგმია)

**შიბლიანი**

1. „თუთუბიაანთ“ უბნის მოხრეშვა - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.
2. სასმელი წყლის რეაბილიტაცია (მილების ამოცვლა, გამანაწილებლია დასამონტაჟებელი) - ( დასაგეგმია )
3. სანიაღვრე არხები - ( დასაგეგმია )
4. სოფლის მოსახლეობა ითხოვს ბანკომატს. -( გასარკვევია )
5. სასმელი წყლის მილების ამოცვლა და ფილტრების დაყენება - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 16 000 )

**უდაბნო**

1. საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა. - ესაჭიროებათ ინვენტარი ბავშვებისთვის. ( - დასაგეგმია)
2. რიტუალების დარბაზია დასასრულებელი.( მოსახლეობამ დაითვალა და 50 ათასი ლარია საჭირო) - ნაწილობრივ კეთდება „სოფლის პროგრამით“- 16 000 ლარი.
3. წყალარინების პრობლემა (კანალიზაცია) – საჭიროებს რეაბილიტაციას 100 000 ლარი. ( დასაგეგმია)
4. მოსახლეობა ითხოვს ტბასთან მოხრეშვას. - ( უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.)
5. სტადიონის მოწყობა. - საჭიროებს 50 000 ლარს - ( დასაგეგმია )
6. სანიაღვრე არხების მოწყობა - ( გზის რეაბილიტაციის შემდეგ მოხდება სანიაღვრე არხის მოწყობაც )

**სათაფლე**

6. სამელი წყლის მილებია ამოსაცვლელი, წყალჩამკეტის დამონტაჟებაა საჭირო - ((მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“- პროგრამით 10 000ლარი.
7. ორმოულები - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

კეთდება“ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით)

1. მელიორაციასთან თხოვნაა სარწყავ არხში გაკეთდეს წყლის შემაკავებელი ფარი -( -გასარკვევია
2. სანაგვე ორმო - უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.
3. ტრანსპორტი- (გასარკვევია)
4. ბანკის მოძრავი მანქანა. -- გასარკვევია
5. სასმელი ჭიდან “პასიოლკის“ უბანში წყლის აყვანა - 1 000 ლარი. დასაგეგმია
6. სოფელში არის მერიის ბალანსზე არსებული მანქანა, მოსახლეობა ითხოვს გაზის ტალონს მანქანისთვის საგარეჯოში და თბილისში გადასაადგილებლად -- ( ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებელია ტალონების შეძენა )

**თულარი**

1) სოფლის შიდა გზის მოასფალტება. ( კაზლარი- თულარის დამაკავშირებელი) 2 500 000ლარი დასაგეგმია

საუბნო სასმელი წყლის ონკანების დამატება - გაკეთდა

2) გარე განათება - მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 20 000 ლარი.

1. დასადგმელია ნაგვის ურნები- მოგვარდება უახლოეს პერიოდში
7. სარწყავი არხის გაწმენდა - მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.

3) გარე განათების მოწყობა.- მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება“ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით - 20 000ლარი.

8. სასმელ წყალზე საუბნო ონკანების დამატება- აღნიშნული საკითხი შესაძლებელია მოგვარდეს აიპი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების რეგულირებისა და კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელობის ჩართულობით
9. ტრანსპორტი სკოლისთვის- პრობლემა მოგვარებულია
10. სარწყავი არხის გაწმენდა - (აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)

**კაზლარი**

1. ასფალტი (კაზლარი- თულარის დამაკავშირებელი) 2 500 000 ლარი ( დასაგეგმია )
2. გარე განათების მოწყობა - მიმდინარეობს სამუშაოები, კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 20 000ლარი.
3. სასმელი წყლის პრობლემა - 100 000 - დასაგეგმია
4. საექიმო ამბულატორია - 60 000 - ( დასაგეგმია )
5. სარწყავი არხის გაწმენდა - შესაძლოა მოწესრიგდეს მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით.

**იორმუღანლო**

1. სასაფლაოს შემოღობვა - ნაწილობრივ კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 20 000ლარი
2. სანიღვრე არხის მოწყობა - ნაწილობრივ კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით.
3. სიჩქარის შემზღუდველი - (2500 ლარი - აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია)
4. ნაგვის გატანა - ( მიმდინარეობს ნაგვის გატანა)
5. სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია. - ნაწილობრივ კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით.
6. დასადგმელია ნაგვის ურნები - ( მოგვარდება უახლოეს მომავალში )
7. იორის ხიდს ესაჭიროება რეაბილიტაცია. - საჭიროა ჩაუტარდეს ექსპერტიზა.
8. მოსახლეობა ითხოვს მიწების გაფორმებას- გასარკვევია
9. სამშენებლო ნარჩენებისთვის გამოიყოს სოფელში ადგილი- გასარკვევია

**ლამბალო**

1. გარე განათება - (მიმდინარეობს სამუშაოები კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით -16 530ლარი)

4) მოსაცდელის მოწყობა - ( მიმდინარეობს სამუშაოები და კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით -20 000 ლარი)

2. ხიდი - ( 10 000 დასაგეგმია )
3. უპატრონო ძაღლების პრობლემა, ( დასაგეგმია )
4. ნაგვის გატანა- (მიმდინარეობს ნაგვის გატანა)
5. დასადგმელია ნაგვის ურნები- (მოგვარდება უახლოეს მომავალში)
6. რამოდენიმე უბანში ცხაურებია მოსაწყობი - (დასაგეგმია )

**დუზაგრამა**

5) არხის მოწყობა - მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით - 16000 ლარი)

1. გარე განათება - მიმდინარეობს სამუშაოები კეთდება „ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით
2. დასადგმელია ნაგვის ურნები - მოგვარდება მომავალში

**პალდო**

6) სარწყავი არხი ( მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 16 000ლარი )

**წიწმატიანი**

1. გარე განათება. - (მიმდინარეობს სამუშაოები კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 16 000 ლარი)
2. მოსაწყობია ნაგვის ურნები - ( მოგვარდება მომავალში )
3. სარწყავი არხი - (მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, კეთდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით)
4. საბავშვო ბაღის ეზოს მოხრეშვა - (უახლოეს მომავალში მოწესრიგდება მერიის ბალანსზე არსებული ტექნიკით)
5. სიჩქარის შემზღუდველი - ( 3 ცალი -4 000 ლარი,დასაგეგმია )

**ქ. საგარეჯო**

1. გარე ფასადების მოწესრიგება - ( დასაგეგმია )
2. საფეხმავლო ბილიკებისა და მოაჯირების მოწესრიგება - ( დაგეგმილია ჯაფარიძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა 60 000 ლარი, ხოლო დანარჩენზე დასაგეგმია )
3. სკვერის მოწყობა სავარჯიშო მოწყობილობებით. ( დასაგეგმია )
4. წყალარინების სისტემის მოწესრიგება - (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ეკუთნის)
5. სანიაღვრე არხების გაწმენდა - (სამუშაოები შესრულდება უახლოეს მომავალში)
6. პრობლემაა საგარეჯოს ტყეში ხის უკანონოდ ჭრა. – (გასარკვევია)
7. სასმელი წყალი - (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ეკუთნის)

***ქალაქ საგარეჯოში, სათავის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის მეორე ფენის მოწყობა მიმდინარეობს.***

***პროექტს, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 304 793 ლარით დაფინანსდა, შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპი“ ახორციელებს.***



## სპორტი

### თავისუფალი ჭიდაობა

# დავით კუჭუაშვილი – ევროპისა და მსოფლიო პირველობების პრეტენდენტი

**მარტის** ბოლო დღეებში ქალაქ ხაშურში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2002 – 2003 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში ქვეყნის ამ სტილის სხვა მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ აიპ "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების" საგარეჯოსა და ხაშმის თავისუფალი სტილის ჭიდაობის სექციების აღსაზრდელები- 5 მოჭიდავე საგარეჯოდან და სამიც ხაშმიდან. მათგან საუკეთესოდ იასპარეზა და ტურნირის ჩემპიონი 71 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე საგარეჯოელი დავით კუჭუაშვილი გახდა,რომელმაც ამ წარმატებით თავისუფალ ჭიდაობაში მიმდინარე წლის ევროპისა და მსოფლიო პირველობებში ჭიდაობის ლიცენზიები მოიპოვა. ტურნირის ვიცე – ჩემპიონი და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ფირუზ ქვლივიძე,რომელიც 65 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 60 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიგი ქურხულმა (მწვრთნელები: რამაზ ასაბაშვილი და დავით ბაბუნიძე).

*გივი დაბახიშვილი*

## ძიუდო

# მან გარეჯელი გოგონები ძიუდოს აზიარა და დიდ სარბიელზეც გაიყვანა...



***საგარეჯო** ოდითგანვე სამართლიანად ითვლებოდა ფალავნების კერად, მაგრამ, გარდა ორიოდე გამონაკლისისა, ამ საუკუნის ათიანი წლების მიწურულამდე ქალი მოჭიდავეები არ გვყოლია. 2014 წლის დასაწყისიდან კი საგარეჯოში გამოჩნდა მწვრთნელი-მასწავლებელი, ჭიდაობა ძიუდოში სპორტის ოსტატი **ლუდმილა ზერაძე**, რომელმაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებისა“ და მუნიციპალიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობის თანადგომით საფუძველი ჩაუყარა საგარეჯოში გოგონათა ძიუდოს შემსწავლელ წრეს და სულ მალე მათი მიღწევებით აალაპარაკა ქართული ძიუდოს სპეციალისტები...*

*მიმდინარე წლის 4 თებერვალს ამ წრეს დაარსებიდან ხუთი წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით „გარეჯის მაცნემ“ თავის დღევანდელ ნომერში სასაუბროდ მოიწვია საგარეჯოში გოგონათა ძიუდოს ფუძემდებელი და მომაგე, ნამდვილად ამაგდასაფასებელი პიროვნება.*

***– ქალბატონო ლუდმილა. თქვენი აღსაზრდელი გოგონების წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთი რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ძიუდოთი დაინტერესებულ გაზეთის მკითხველს, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი თქვენს შესახებ. საიდან მოდიხართ, საიდან მოდის თქვენი ასეთი სიყვარული ძიუდოს მიმართ, რომ თბილისიდან ამდენ კილომეტრს გამოდიხართ, რათა ჩვენებური გოგონები აზიაროთ ქართველი ქალებისთვის ახლადნაზიარებ სპორტის ამ ლამაზ სახეობას, ამით კი გზა გაუკვლიოთ უმაღლესი ოლიმპიური მიზნებისაკენ?***

– დავიბადე თბილისში. დავამთავრე დედაქალაქის №49 საშუალო სკოლა. 1991 წლიდან სწავლა დავიწყე ქ. ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დავამთავრე მეორადი ფაკულტეტი – საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. ასევე დავამთავრე ძიუდოს საერთაშორისო აკადემიის (I ) კურსები (II დონე). 2000 წლიდან დღემდე ვმუშაობ ძიუდოს მწვრთნელ-მასწავლებლად, ვარ სპორტის ოსტატი ჭიდაობა ძიუდოში, 2008 წელს მომენიჭა მსაჯის წოდება. სპორტის, ძიუდოს სიყვარული კი ბავშვობიდანვე მომდევს და ასე იქნება შემდეგაც.

***– გოგონათა ძიუდოს სწავლებას – ამ მართლაც და დიდად საინტერესო საქმეს საგარეჯოში, თქვენ 2014 წლიდან ჩაუდექით სათავეში და ამ ხუთი წლის მანძილზე საქართველოსა და საერთაშორისო დონის არაერთი მოჭიდავე გყავთ აღზრდილი. ხომ ვერ გაიხსენებდით, როგორ დაიწყო თავიდან ყველაფერი?***

– თავდაპირველად წრეში ვარჯიშის სურვილი 25-მა გოგონამ გამოთქვა. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობა გვერდში დაგვიდგა, გამოგვიყვეს ვარჯიშისათვის შესაფერისი კეთილმოწყობილი დარბაზი და საქმესაც შევუდექით. რაც შეეხება ვარჯიშის პირობებს, არც ერთი მეცადინეობა არ გაგვიცდენია და „ჩაგვიგდია“, ამიტომაც იყო, რომ ჩემმა აღსაზრდელებმა მალე მოიპოვეს აღიარება ქვეყნის შიდა ტატამზე. 2014 წლიდან დღემდე აღზრდილი მყავს საქართველოს ჩემპიონები: ნატალია ყიფშიძე, სალომე ბლიაძე, ლილე ხარანაული, მარიამ კოხტაშვილი, სალომე გულისაშვილი, მარიამ ლაფაჩიშვილი, ლალი ხოსიტაშვილი, ანა ასანიშვილი, თინანო რევაზიშვილი, სალომე არაბული, ნინი ლოლაძე, რომლებსაც ასევე, მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული სხვადასხვა საერთაშორისო დონის ასპარეზობებში. აქვე მინდა დავძინო, რომ ყოველწლიურად საქართველოს გოგონათა ძიუდოს ეროვნულ ნაკრებში საგარეჯოდან მუდმივად მყავს 7 სპორტსმენი, თითქმის ყველა წონაში, გარდა მძიმე წონისა, რადგან მძიმე წონაში არ მყავს ძიუდოისტი.

***– ძიუდოს გარდა თქვენი გოგონები არანაკლებ ჭიდაობენ სამბოშიც...***

– კი, რა თქმა უნდა. ესენი არიან თბილისის 2015 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, მსოფლიო და ევროპის ვიცე-ჩემპიონები სამბოში ნატალია ყიფშიძე, მარიამ ლაფაჩიშვილი, ნინი ლოლაძე, თინანო რევაზიშვილი.

***– ვინ არის მათგან ყველაზე გამორჩეული მოსწავლე?***

– ჩემთვის, როგორც მწვრთნელისათვის, ყველა მოსწავლე საუკეთესო და გამორჩეულია.

***– რას გვეტყოდით ნინი ლოლაძის შესახებ, რომელმაც მარტის დასაწყისში ანტალიის ევროპის თასზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და ამით საუკეთესო სარვამარტო საჩუქარი გაუკეთა თავის დედას, მწვრთნელს, სკოლის აღმზრდელ-პედაგოგებს?***

– ნინი ლოლაძე უკვე 3 წელია ვარჯიშობს წრეში. ის არის ძალიან შრომისმოყვარე, მიზანდასახული სპორტსმენი. ნინი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და თუ ბოლომდე დამიჯერებს და ჩემი გეგმის მიხედვით ივარჯიშებს, ვიმედოვნებ, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატება გველის.. აქვე კიდევ ერთხელ ***ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს, რომელმაც დააფინანსა თურქეთში ამ ასპარეზობაში ნინის მონაწილეობა. ის რომ არა, ნინი ვერ მოახერხებდა ანტალიაში გამგზავრებას და ამ შედეგის მიღწევას***. უნდა გითხრათ, რომ 2018 წლიდან აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციას გოგონათა გუნდის არც ერთი შეჯიბრი არ დაუფინანსებია.

***– ძალზე სამწუხარო, მაგრამ ვგონებ ახლა გამოსწორებადი ფაქტია. რას გვეტყოდით თქვენი შვილების შესახებ. რომელიმე მათგანი თუ გაჰყვა თქვენს კვალს?***

– მყავს ორი შვილი. ვაჟი ადრე თამაშობდა რაგბის. გოგონა ორი წლიდან ჭიდაობს, მაგრამ ახლა სტუდენტია და იშვიათად თუ შედის ძიუდოს დარბაზში.

***– რას უსურვებდით გაზაფხულის დასაწყისში ქართველ ქალებს – დედებს, დებს, შვილებს, რიგით მოქალაქეებს, თქვენს აღსაზრდელებს?***

– მე ვარ სპორტსმენი. ტატამზე ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს. ტატამის გარეთ ვარ ჩვეულებრივი ქალი, არაფრით გამორჩეული და განსხვავებული სხვა ქალებისაგან, ამიტომ ვიცი მათი ყველა საწუხარი და სიხარულიც. უპირველეს ყოვლისა, ყველა დედას ვუსურვებ ჰყავდეს ჯანმრთელი და ბედნიერი შვილები. ქალებს – ქალურ ბედნიერებას. ქალ-სპორტსმენებს ვუწოდებ გმირებს. ჩემს აღსაზრდელ გოგონებს ვუსურვებ მხოლოდ წინსვლას, დიდი მწვერვალების დაპყრობას, რასაც ოლიმპიური მწვერვალი ჰქვია.

***– ღმერთმა გისმინოთ და გაგაძლიეროთ.***

– მადლობა.

***ესაუბრა** გივი დაბახიშვილი*

# 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებიდან 30 წელი გავიდა

**1989** წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებიდან 30 წელი გავიდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა – ალექსი გილაშვილმა და შოთა კაკაბაძემ, საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა რომან მუჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ლელა მარიდაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საგარეჯოს 1 საჯარო სკოლაში და სოფელ იორმუღანლოში 9 აპრილის და 20 იანვრის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. საგარეჯოს 1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს და პატივი მიაგეს 9 აპრილს გარდაცვლილთა სულებს.





**9 აპრილი,** თავისუფლების მოპოვების დღეა, ის დღე, როდესაც ჩვენმა ქრთველმა ახალგაზრდობამ, თავი გასწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

9 აპრილს ტრადიციულად, საგარეჯოშიც გამოეხმაურნენ. კულტურის სახლის მცირე დარბაზში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისა და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის 30 წლისთავის აღსანიშნავად შეიკრიბნენ.

ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ დარბაზში გამოიფინა 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით ჟურნალ-გაზეთების მიერ გამოქვეყნებული სტატიები და ფოტო მასალები.

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გარდაცვლილთა ხსოვნას, დაანთეს სანთლები, რის შემდეგაც, 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება მოეწყო.

დაღუპულთა ხსოვნას „შავლეგო“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“ მიუძღვნა ფოლკლორულმა ანსამბლმა - „გარეჯი“.

თემატური ლექსები წაიკითხეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი თეატრის მსახიობები ნანული ბილანიშვილი და ნათელა დიღმელაშვილი, ასევე აქტიურად იყო ჩართული ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი ლია გოდერძიშვილი და ბიბლიოთეკარი ვერიკო კერატიშვილი.





# მადლობა

**მადლიერებას** და პატივისცემას გამოვხატავთ კაკაბეთის 1 საბავშვო ბაღის თითოეული თანამშრომლის ,ბაღის მთლიანი კოლექტივის მიმართ,დაწყებული ბაღის მენეჯერიდან და დამთავრებული საბავშვო ბაღის დარაჯით. ჩვენი შვილები თბილ გარემოში იზრდებიან- მათ ჰყავთ თავდაუზოგავი და ყველა ბავშვისათვის საყვარელი აღმზრდელი, მუდამ დაუღალავი და თბილი ძიძა,ბავშვების გულის გამხარებელი,მუსიკის მასწავლებელი,ბავშვების ამჭიკჭიკებელი ლოგოპედი,ჩვენი ცქრიალა ექთანი,გემრიელი სადილების მომმზადებელი მზარეული,ბაღის სისუფთავეზე მზრუნველი დამლაგებელი და რაც მთავარია - პასუხისმგებლიანი, კეთილსინდისიერი , ჩვენი ბაღის მენეჯერი- ქალბატონი ლეილა ამბარდნიშვილი.

სასიხარულოა, ჩვენი შვილები ასეთ მოწესრიგებულ და სასიამოვნო გარემოში,ასეთი მზრუნველი აღმზრდელების გარემოცვაში რომ იზრდებიან.

აღსაზრდელთა მშობლებს ძალიან გვიხარია ახლად გარემონტებული საბავშვო ბაღი, რისთვისაც გვინდა ***მადლობა გადავუხადოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს*** და ჩვენი ***მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს*** ქალბატონ **ელზა გილაშვილს.**

***სოფელ კაკაბეთის 1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლების სახელით***

*თ. ნემსაძე*

## ამაგდარი

# მტკიცე გულით

**კაკაბეთი** მდიდარი შრომითი და კულტურული ტრადიციების სოფელია, რომელთა შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მწერალ იოსებ მჭედლიშვილის სახელობის სასოფლო ბიბლიოთეკას და მის ყოფილ, ერთ დროსუცვლელ გამგეს ქ-ნ ნუნუ კუპატაძეს. ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან შეუყვარდა მანაველ ქალიშვილს წიგნები და ბიბლიოთეკარის პროფესია. ამიტომ სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოგრაფია-ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე დაიწყო, რომლის დამთავრების შემდეგ 1966 წელს ამ სოფლის ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა და მალე ამ სოფლის რძალიც გახდა. მან თავისი ბედი აქაურ ზაქარია კვეზერელს დაუკავშირა და ეს ოჯახი ერთ-ერთ საუკეთესო ოჯახად ითვლებოდა. ოჯახის საუკეთესო დიასახლისობასთან ერთად, ნუნუ ბიბლიოთეკარს ყოველთვის სანიმუშოდ მოვლილი და მოწყობილი ბიბლიოთეკა ჰქონდა. თითქმის ყოველთვის,როცა ასეთი ობიექტების დასათვალიერებლად ზემდგომი ორგანოებიდან საგარეჯოს რაიონში ჩამოდიოდნენ, სტუმრები ნუნუ კუპატაძის ბიბლიოთეკაში მიჰყავდათ, რადგან მუდამ ჰქონდათ იმედი,რომ იგი არაფერში შეირცხვენდა თავს.



ასე გავიდა ამ სამსახურში 40 წელზე მეტი,რომელმაც სიხარულთან ერთად ბევრი სიმწარეც არგუნა სოფლის საყვარელ და ამაგდარ ადამიანს. მას საკუთარ თავზე მოუხდა ამ საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ყველა გასაჭირისა და განსაცდელის გადატანა. ყველაზე დიდი დარტყმა კი მაშინ მიიღო,როცა საქართველოს მთლიანობისთვის აფხაზეთში წარმოებულ უთანასწორო ომში საკუთარი პირმშო დაკარგა. მძიმე და აუტანელი იყო შვილმკვდარი დედისათვის იმ პირობებში ბიბლიოთეკაში მუშაობა,მაგრამ ერთხელაც არ უღალატია საყვარელი საქმისათვის,რადგან იცოდა,რომ მის მიერ შერჩეული წიგნები სოფლის მომავალი თაობებისთვის უკეთესი მომავლისათვის შრომისა და ბრძოლის გზა უნდა გაენათებინათ.

ნათქვამია,გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ბედმა მარტო შვილის დაკარგვა არ აკმარა და ახლა მეუღლე გამოაცალა ხელიდან. სხვას მის ადგილზე ალბათ ბოლოს მოუღებდა ასეთი თავს დატეხილი უბედურება,მაგრამ ვერც ამ ტრაგედიამ მოახრევინა ქედი წუთისოფლის მუხანათობის წინაშე. ამ დიდი ტრაგედიების გადამტანი დღესაც ერთგულად და უღალატოდ მიუყვება ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ გზას,ახლაც ერთგულად უდგას მოქმედ ბიბლიოთეკას გვერდში, რადგან იცის, რომ მხოლოდ წიგნიერება და განათლებული მომავალი თაობები არიან ქვეყნის ნათელი და უკეთესი მომავლის საწინდარი. 1977 წელს ჟურნალ „საქართველოს ქალში“ ნუნუ კუპატაძის შესახებ ჩემს მიერ მომზადდა წერილი სათაურით „გულის სითბო“. ამ წერილის სათაურად კი მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე „მტკიცე გულით“ შევარჩიე, რაც ვგონებ სრულად შეესაბამება მის პიროვნებას.

ამ დღეებში მას საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ მოღვაწეობის 44 წელი მიულოცა.

ღმერთმა სიმტკიცე და გამძლეობა არც მომავალში მოაკლოს მრავალჭირნახულ ბიბლიოთეკარს.

*გ. დაბახიშვილი*

# ხსოვნა

## ნიკა ბექანიშვილი



**უკვე** სამი წელია, რაც უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს, ჩვენო ნიკა. ლურჯი აპრილის 18 შენი სიცოცხლის დასასრულად და სხვა ქვეყანაში გადასვლის კალენდარულ დღედ იქცა შენი ახლობლებისთვის.ძნელია უშენობა, უშენოდ აპრილის მოსვლას აღარ აქვს სილამაზე და ხალისი. რა დაგვრჩენია, ჩვენო ნიკა,მოვალთ შენს საფლავძე,ავანთებთ სანთლებს და გეტყვით,რომ ძალიან გვაკლია შენი ღიმილი, შენი სითბო და სიყვარული... გვენატრები. გულში დაგვიტოვე ტკივილი,რომელსაც დრო ვერ განკურნავს. შენ ყოველთვის ჩვენს გულებში ცოცხლობ და სულ ასე იქნები.

“ვერ შეგისრულდა ოცნება,
ჩაქრა სიცოცხლის ლამპარი,
ისე დამთავრდა ყოველი,
როგორც უბრალო ზღაპარი”

***შენი ბიძაშვილები:***

*ლექსო და გიორგი არაქელოვები*

---

## ნიკა ბექანიშვილი



**გაზაფხულია.**

მოვიდა გაზაფხული, აყვავილდა ნუში, ია, ფურუსულა, ყავავილებით გადაიპენტა ხეები. მათ აყვავებას ხომ სიხარულით ხვდებოდი, მახსენდება, როგორი სიყვარულით ეფერებოდი სახლის წინ ლამაზად,მორცხვად ამოსულ იებს... მაგრამ, ვაგლახ,რომ მხოლოდ 21 გაზაფხულს მოესწარი, ჩემო მონატრებავ! სამი წელიწადია უშენოდ მოდის გაზაფხული ჩემო ნიკა, სამი წელიწადია უშენოდ მოდის წელიწადის დროები, ის ავად სახსენებელი 18 აპრილიც, რომელმაც შენი თავი წაგვართვა, ჩვენო გაუხარელო, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ბიჭო! მთელი ოჯახი მწუხარებაშია, შვილო,ერთმანეთსაც ვერ ვანუგეშებთ, ან რით ვანუგეშო ბედგანწირული შენი მშობლები, უცხო ქვეყანაში მყოფი შენი საფიცარი ძმა, რომელსაც შენი საფლავიც არ უნახავს. ჩამოვა შვილო, მუხლს მოიყრის შენს საფლავზე და დაგინთებს სანთლებს. საფლავს ის ყვავილები გილამაზებენ, რომლებიც დედაშენმა დარგო, შიგ მწარე ცრემლები გამოატანა შენთან, იმ პატარა, სიმბოლურ ეკლესიაში გინთენთ სანთლებს, რომელიც შენს განსასვენებელს ალამაზებს.

ძალიან მენატრები ჩემო გულის გაუნელებელო ტკივილო, მოურჩენელო იარავ, ამ დიდ მონატრებაში და ტკივილში მესამედ მოვიდა 18 აპრილი, ჩვენი ამქვეყნად განშორების თარიღი. ნათელში იყოს შენი სული.

ოჰ,როგორ მტკივა გული
და როგორ მინდა შენთან,
რომ ჩაგიხუტო გულში,
შენი თვალები ვნახო
და დაგიკოცნო ძლიერ,
იქნებ გაგითბო გული და
და მოგაბრუნო ჩემთან.

***ბებია***

*ანგელინა*

*ზირაქაშვილი-ბექანიშვილი*

# გახსენება

## ვინ იყო მედიკო მეზვრიშვილი



**მედიკო** იყო ქალი, ისტორიული პიროვნება, ქალი ლეგენდა, რომელიც მუშაობდა და ფიქრობდა საქართველოსათვის, გაჭირვებული ოჯახებისათვის, იცავდა და აღადგენდა საქართველოს ისტორიულ ძეგლებს საგარეჯოსა და თელავში, ყველგან, სადაც კი გული და ფიქრი მიუწვდებოდა. იყო სიახლეების მაძიებელი და ამ სიახლეების უპირობო გამტარებელი. ამის დასტურად სოფელ უდაბნოს განაშენიანება და გამრავალრიცხოვნება და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენაც იკმარებდა.

იბრძოდა ახალგაზრდების დასაქმებისა და დაკვალიანებისათვის, ყველა ოჯახის კეთილდღეობისათვის. არ ავიწყდებოდა გამოჩენილი მამულიშვილები, მათ გაკეთებულ საქმეებს აგრძელებდა,პატივს მიაგებდა მათ საფლავებს,მათი ოჯახის წევრებს არ აკლებდა მზრუნველობას.

იღწვოდა და შრომობდა არა მარტო საგარეჯოსთვის,როგორც რაიკომის I მდივანი, არამედ საქართველოს ყველა კუთხის და ყველა ეროვნების ადამიანისათვის, იყო პატივისმცემელი და დამხმარე სიმართლისათვის ბრძოლაში.

... ქალი უშვილო, დასაოჯახებელი, მაგრამ იყო ყველას მშობელი და ოჯახის წევრი. ის უსმენდა,დროს ნახულობდა ყველა მოქალაქისათვის,რათა მიეცა გზა მათთვის ნორმალური ცხოვრებისათვის.

რა თქმა უნდა, მის შრომას ვინ როგორ დააფასებდა, შეგვიძლია გავიხსენოთ, „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს,თუ ბუნებამც არ უშველა“ – ნათქვამია.

12 აპრილი ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის დაბადების დღეა. პატივს მივაგებ მის სულს და მჯერა,საგარეჯოში იქნებიან პიროვნებები,ვინც მისი სახელისათვის,მისი გაწეული შრომისათვის, საპატიო სახელს გამოაჩენენ უფრო მნიშვნელოვნად – თუ ვინ იყო ქალბატონი მედიკო მეზვრიშვილი და რაოდენ სამწუხაროა,რომ საგარეჯოში მისი სახელობის ქუჩაც არ არსებობს.

ქალბატონი მედეას ღვაწლი მისივე სიცოცხლეშიც დაფასდა იმ ადამიანების მიერ, ვინც მის გვერდით იბრძოდა, იღწვოდა, თავისი თვალით უყურებდა მის ყოველდღიურ საქმიანობას . დღეს მინდა შემოგთავაზოთ საგარეჯოელი ვახტანგ კურდღელაშვილის მიერ დაწერილი ლექსის პატარა მონაკვეთი,რომელიც მან ქალბატონ მედეას მიუძღვნა. ლექსში გადმოცემულია ყოფილი რაიკომის მდივნის შრომითი ბიოგრაფია:

„...ძველთან ახალი ქარხნები გაჩნდნენ,
კაცის მარჯვენას მიეცა ფასი,
წელგამართული გლეხობის გვერდით,
ჩამოყალიბდა მუშათა კლასი...“
... ისტორიულსა ძეგლებს მიხედა,
წარმოებებსა საშველად გვიხმეს,
ენთუზიაზმით ჩვენ აღვადგინეთ:
ჩაილურის თუ მანავის ციხე
უდაბნოს დიდი სოფელი შექმნა,
დიდ მონასტრამდე გზა გაიყვანა,
გადამხმარ მიწის დასარწყულებლად
მტკვრიდან წყალი ზე აიყვანა.
დღესასწაული შექმნა ახალი-
მაისის თვეში გარეჯობისა
და ტრადიციად ის გადაიქცა
ჩვენი ერთობა,ჩვენი ძმობისა.
ოც წელზე მეტი მის გვერდით ვიდექ,
ბევრს ცხოვრების მოგვცა საგზური,
და იმ დიადსა მშენებლობებში
მეც დამიდია ერთი აგური“.

*თინა ბექიტაშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com